საიდ. N80993/03

IR 1236155

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა N42-03/16

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ - „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ს. მუჯირი (თავმჯდომარე), თ. ჯაფარიძე, უ. ოშხნელი, თ. კევლიშვილის მდივნობით განიხილა კომპანიის „ჯინ პატოუ ვორლდვაიდ ლიმიტიდ“ (Jean Patou Worldwide Limited) N42-03/16 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 11 დეკემბრის N3677/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის „JOYFUL“ (საიდ. N80993/03, IR1236155) დაცვის მინიჭება საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-3 კლასი).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 11 დეკემბრის N3677/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განცხადებულ სასაქონლო ნიშანს, „JOYFUL“ (საიდ. N80993/03, IR1236155) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე, ვინაიდან, მსგავსია საქპატენტში კომპანიის „ზე პროქტერ & გემბლ კომპანი“ (THE PROCTER & GAMBLE COMPANY) სახელზე მე-3 კლასის მსგავსი საქონლისათვის საქპატენტში რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნისა „JOY“ (რეგ. N3150, რეგ. თარიღი 17/09/1996). დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები შესრულებულია ლათინური ანბანით და აქვთ აღრევამდე მსგავსი ჟღერადობა. განცხადებულ ნიშანში დაბოლოების „ful“ არსებობა ვერ უზრუნველყოფს ნიშნებს შორის საკმარის განმასხვავებლობას, ვინაიდან სიტყვაში დომინანტი ელემენტია „Joy“, რაც რეგისტრირებული ნიშნის იდენტურია. ნიშნებს გააჩნიათ სემანტიკური მნიშვნელობა. კერძოდ, ქართულ ენაზე „Joy“ ითარგმნება, როგორც „მხიარულება“, ხოლო „JOYFUL“ ნიშნავს „მხიარულს“. აღნიშნულის გამო, განცხადებულ ნიშანს „JOYFUL“ (საიდ. N80993/03, IR1236155) „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

აპელანტი კომპანია „ჯინ პატოუ ვორლდვაიდ ლიმიტიდ“ (Jean Patou Worldwide Limited) არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, სასაქონლო ნიშნის „JOYFUL“ (საიდ. N80993/03, IR1236155) საქართველოში დაცვა არ ეწინააღმდეგება „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონს, ვინაიდან, არ არსებობს ამავე კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შედარებითი საფუძველი.

აპელანტის განმარტებით, განცხადებული სასაქონლო ნიშანი „JOYFUL“ (საიდ. N80993/03, IR1236155) წარმოადგენს სიტყვიერ ნიშანს, რომელიც შედგება ლათინური ანბანის 6 ასომთავრული ასოსაგან. განცხადებული ნიშანი ჰორიზონტალურადაა განლაგებული და ერთგვაროვანია თავისი სტრუქტურით. სწორხაზოვანი ასოების - „J“ და „L“ არსებობა გაცხადებული ნიშნის საწყის და ბოლო პოზიციებში ვიზუალურად შემოსაზღვრავს ნიშანს, რაც ამავდროულად ქმნის სახასიათო სახეს მომხმარებელთა გონებაში. ვინაიდან, ნიშანი შესრულებულია ასომთავრული ასოებით, ნიშანში გრაფიკული ცენტრი არ არსებობს, ამიტომ მომხმარებელთა ყურადღება თანაბრად ნაწილდება გაცხადებული ნიშნის ყველა ელემენტზე.

აპელანტის განმარტებით, ნიშნის ფონეტიკა ასეთია: „ჯოი-ფულ“. ნიშანი შედგება 2 დახურული მარცვლისგან, 6 ბგერისგან (2 ხმოვანი, 4 თანხმოვანი) და მახვილი ეცემა პირველ მარცვალზე. აფრიკატული დიფტონგის „ჯ“-ს არსებობა გაცხადებული ნიშნის დასაწყისში და რბილი თანხმოვნის „ლ“-ს არსებობა გაცხადებული ნიშნის დასასრულში, საზღვრავს ჟღერადობას საწყის პოზიციაში და წარმოთქმის სირბილეს ნიშნის საბოლოო პოზიციაში. დახურული მარცვლების არსებობის გათვალისწინებით, განცხადებული ნიშანი წარმოადგენს რითმულსა და მკვეთრს, რაც ქმნის ნიშნის ინდივიდუალურ არტიკულაციურ თავისებურებებს.

აპელანტის მითითებით, ნიშანს აქვს სემანტიკური მნიშვნელობა. ინგლისური ენიდან ქართულად განცხადბული სასაქონლო ნიშანი ითარგმნება, როგორც, სიხარულის განცდის მქონე; ბედნიერი; კმაყოფილი; მხიარული; სიხარულით აღსავსე.

აპელანტის განმარტებით, განმცხადებელი კომპანია „Jean Patou Worldwide Limited“ დაარსდა ფრანგი მოდელიერის და პარფიუმერის ჟან პატუს მიერ. მოდების სახლი „Jean Patou“ გაიხსნა 1919 წელს. ბრენდი მოდების ისტორიაში შევიდა, როგორც პირველი, ვინც დაბეჭდა თავისივე ლოგოტიპი. უმალვე ნიშანმა „Jean Patou“ დაიპყრო პუბლიკის ყურადღება, გახდა რა სიმბოლო კარგი გემოვნების, დახვეწილობის, თავშეკავებული ელეგანტურობისა და გაბედული ინოვაციების. 1920-იანი წლების დასაწყისში ჟან პატუმ, რომელიც თავად არ ელოდებოდა მსგავსს, მოახდინა გადატრიალება მსოფლიო მოდაში. სწორედ მან შეიმუშავა პირველი კარდიგანი, სპორტული ტანისამოსი, ნაქსოვი საცურაო კოსტუმები და ჩოგბურთის სათამაშოდ განკუთვნილი ქვედაბოლოები. „Jean Patou“-ს მოდის სახლში იმოსებოდნენ რუმინეთისა და ესპანეთის დედოფლები, მაღალი საზოგადოების ქალები და პროფესიონალი სპორტსმენები და ვარსკვლავები, მათ შორის ჩოგბურთელი სიუზან ლენგენი და მოცეკვავე ჟოზეფინა ბეიკერი. 1925 წელს „Jean Patou“-ს მოდის სახლმა პუბლიკას ქალის სამი სახის არომატი შესთავაზა და ამასთანავე, დაიწყო პარფიუმერიის ხაზის გამოშვება. დღესდღეობით, ბრენდი „Jean Patou“ ცნობილია, როგორც პარფიუმერული ბრენდი, თუმცა მე-20 საუკუნის დასაწყისში, იგი სამართლიანად ითვლებოდა მოდის ნოვატორად. 25 წლიანი პაუზის შემდგომ, ნიშანი „Jean Patou“ ბრუნდება მოდის ოლიმპზე, „შემოდგომა-ზამთრის 2014-2015“ პირველი კოლექცია გამოჩნდა 2014 წლის გაზაფხულზე. „Jean Patou“-ს არომატები შეიქმნა ისეთ პარფიუმერებთან თანამშრომლობით, როგორიცაა: „Jean Kerleo“, „Henri Almeras“, „Henri Giboulet“, „Jean-Michel Duriez“, „Thomas Fontaine“, „Guy Robert“ და „Henri Alméras“. პარფიუმერული ნაწარმის კოლექცია მოიცავს ისეთ დასახელებებს, როგორიცაა „Coming Up Roses“, „1000“, „Sira des Indes“, „Sublime“, „L`Heure Attendue“, „Que Sais-Je“ და სხვა მრავალი.

აპელანტის განმარტებით, განცხადებული სასაქონლო ნიშნისგან განსხვავებით, დაპირისპირებული ნიშანი „JOY“ (რეგ. N3150) შედგება 3 ასოსაგან. მთლიანობაში, დაპირისპირებული ნიშნის გრაფიკულ სახეს აქვს მკაცრი

მონოლითური კომპოზიცია, გრაფიკული ცენტრით „O“, რაც ქმნის ნიშნის მოკლე და ლაკონურ სახეს. დაპირისპირებული ნიშანი გამოიყენება შემდეგი ორიგინალური შესრულებით: ნიშანი შესრულებულია ლურჯი ფერის სტილიზებული ფორმით, რომელშიც პირველი ასო შესრულებულია ასომთავრულად. ნიშანში ასოები მჭიდროდაა განლაგებული და აქვთ დიაგონალური მიმართულება, რაც მიუთითებს აღნიშვნის მარჯვნივ მიმართულ დინამიკაზე. გაცხადებული და დაპირისპირებული ნიშნების გრაფიკული ანალიზით ირკვევა, რომ დაპირისპირებული ნიშნები განსხვავებულია და არ იწვევს აღრევას.

აპელანტის განმარტებით, დაპირისპირებული ნიშანი გამოითქმის როგორც: „ჯოი“. ნიშანი შედგება 1 დახურული მარცვლისგან და 3 ბგერისგან (1 ხმოვანი და 2 თანხმოვანი). დაპირისპირებული ნიშნის წარმოთქმა მოკლე და ლაკონურია მაშინ, როდესაც განცხადებული ნიშნის წარმოთქმა განგრძობითი და რითმულია, რის გათვალისწინებითაც, ნიშნების ფონეტიკური და არტიკულაციური სურათები განსხვავებულია. ნიშნები განსხვავებულია სემანტიკური თვალსაზრისით. დაპირისპირებულ ნიშანს ქართულ ენაზე აქვს შემდეგი მნიშვნელობა: სიხარული; მხიარულება; კმაყოფილება; გამხიარულება, ასევე იგი შეიძლება იყოს ქალისა და მამაკაცის სახელი.

აპელანტის მითითებით, დაპირისპირებული ნიშანი გამოიყენება ჭურჭლის სარეცხი საშუალების მარკირებისათვის, ასევე მრავალფუნქციური სარეცხი საშუალებისთვის. შესაბამისად, დაპირისპირებული ნიშანი შეიძლება აღქმულ იქნას „გამხიარულების“ მნიშვნელობით, ანუ ერთგვარი მოწოდების სახით „გაიხარე სისუფთავით, ელვარებით“. ასევე, დაპირისპირებული აღნიშვნა შეიძლება აღქმულ იქნას, როგორც საკუთარი სახელი, კერძოდ, ახდენდეს გოგონას/მამაკაცის პერსონალიზაციას და ასახიერებდეს დამხმარეს სისუფთავის დაცვაში. დაპირისპირებული ნიშნის აღქმა საკუთარი სახელის სახით უფრო სავარაუდოა, ვინაიდან, განმცხადებელი კომპანიის ბრენდების რიცხვში შედის ისეთი სარეცხი

საშუალებების ბრენდები, როგორიცაა: „Mr. Clean“ და „Mr. Proper“, რომელთა კონცეფციაში ჩადებულია დამხმარე მამაკაცის იდეა, რომელიც ამარცხებს ნებისმიერ სიბინძურეს. აპელანტის განმარტებით, დაპირისპირებული ნიშნის სემანტიკა წარმოადგენს ვარიაციულს და დამოკიდებული იქნება თითოეული ცალკეული ქართველი მომხმარებლის აღქმის სისტემაზე. უფრო მეტიც, გრამატიკული კონტექსტიდან გამომდინარე, განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნები მიეკუთვნება მეტყველების განსხვავებულ ნაწილებს, რაც დამატებითი ფაქტორია გაცხადებული და დაპირისპირებული ნიშნების აღრევის შეუძლებლობის დასამოწმებლად სემანტიკური თვალსაზრისით.

აპელანტის პოზიციით, დაპირისპირებული ნიშნის მფლობელი, კომპანია „THE PROCTER & GAMBLE COMPANY (US)“, წარმოადგენს ტრანსნაციონალურ კორპორაციას, მსოფლიო ბაზრის ლიდერს ყოველდღიური მოხმარების საქონლის სექტორში. კომპანია დაარსდა 1837 წელს მესანთლე უილიამ პროქტერისა და საპნის მხარშველ ჯეიმს გემბელის მიერ. კომპანია იკავებს 22-ე ადგილს Fortune 500-ის სიაში და წარმოადგენს აშშ-ს ერთ-ერთ წამყვან კომპანიას შემოსავლის მოცულობისა და საბაზრო კაპიტალიზაციის მიხედვით. კომპანიას ეკუთვნის 50 ბრენდი, რომლებიც წარმოადგენს კომპანიის ზრდის ლოკომოტივს და უზრუნველყოფენ გაყიდვების ყოველწლიურ ზრდას. კორპორაციის ძირითადი ბრენდებია სარეცხი და საწმენდი საშუალებები: „Fairy“, „Tide“,“ Ariel“, „Миф“, „Ace“, „Mr. Clean“, „Joy“, „Lenor“, „Comet“, „Fairy Oxi“, „Mr. Proper“, „Dreft“, საბავშვო საფენები: „PAMPERS“, ქალის ჰიგიენური საშუალებები: „Always“, „Alldays“, „Tampax“, „Discreet“, „Naturella“, თმის მოვლის საშუალებები: „Wash & Go“, „Head & Shoulders“, „Pantene“, „Shamtu“, „Herbal Essense“, „Wella“, „Londa“, ტანის მოვლის საშუალებები: „Camay“, „Safeguard“, „Secret“, „Old Spice“, „Olay“. პირის ღრუს მოვლის საშუალებები: „Blend-a-Med“, „Oral-B“, „Crest“, კოსმეტიკური საშუალებები: „Cover Girl“, „Max Factor“, საპარსები: „Gillette“, „Venus“, ელემენტები: „Duracell“. საყოფაცხოვრებო ტექნიკა: „Braun“. ყავა: „Folgers“. წვენები, ცხოველთა საკვები: „Iams“, „Eukanuba“ და მრავალი სხვა. დაპირისპირებული

სასაქონლო ნიშანი გამოიყენება ჭურჭლის სარეცხი საშუალების მარკირებისათვის, ასევე, მრავალფუნქციური სარეცხი საშუალებისათვის.

აპელანტის განმარტებით, განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნები გამოიყენება/მომავალში იქნება გამოყენებული, აბსოლუტურად განსხვავებული საქონლის მარკირებისთვის, ბაზრის აბსოლუტურად განსხვავებულ სეგმენტებში, შესაბამისად, გამოირიცხება მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა.

აპელანტი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ, როგორც განმცხადებლი კომპანიის ისე, დაპირისპირებული ნიშნის მფლობელი კომპანიის მიერ ნაწარმოები საქონელი დამატებით შეიცავს კომპანიების ლოგოტიპებს JEAN PATOU PARIS და P&G. აღნიშნული მომხმარებელს საშუალებას აძლევს ესა თუ ის საქონელი მიაკუთვნოს კონკრეტულ მწარმოებელს, რაც გამორიცხავს განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნების აღრევის შესაძლებლობას. ასევე, ამ დროის განმავლობაში დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები გამოიყენებოდა ბაზარზე, თუმცა, დაპირისპირებული ნიშნის მფლობელისგან არასდროს გამოთქმულა პრეტენზიები განმცხადებლის საქმიანობასთან მიმართებაში.

აპელანტის პიზიციით, მნიშვნელოვანია, რომ დაპირისპირებული ნიშნის მფლობელი კომპანია გამოთქვამს თანხმობას საქართველოს ტერიტორიაზე განცხადებული ნიშნის დაცვასა და გამოყენებაზე მე-3 კლასის საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 11 დეკემბრის N3677/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის „JOYFUL“ (საიდ. N80993/03, IR1236155) დაცვის მინიჭებას საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (საიდ. N42-03/16) არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი - იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „JOYFUL“ (საიდ. N80993/03, IR1236155) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „JOY“ (რეგ. N3150, რეგ. თარიღი 17/09/1996) წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. დაპირისპირებული ნიშნები მსგავსია, როგორც ვიზუალური, ისე ფონეტიკური და სემანტიკური თვალსაზრისით.

დაპირისპირებული ნიშნები მსგავსია ვიზუალურად, ვინაიდან განცხადებული სასაქონლო ნიშანი „JOYFUL“ სიტყვიერია და შესრულებულია სტანდარტული ლათინური ასომთავრული ასოებით. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი, „JOY“, ასევე, სიტყვიერია და შესრულებულია სტანდარტული ლათინური ასომთავრული ასოებით. განცხადებული ნიშანი მთლიანად მოიცავს დაპირისპირებულ ნიშანს, რაც ზრდის ნიშნებს შორის ვიზუალურ მსგავსებას.

დაპირისპირებული ნიშნები მსგავსია ფონეტიკურად. განცხადებული ნიშანი მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც „ჯოიფულ“, ხოლო დაპირისპირებული ნიშანი, როგორც „ჯოი“. მიუხედავად იმისა, რომ განცხადებული ნიშანი შეიცავს დაბოლოებას „ფულ“, აღნიშნული ნიშანს ვერ სძენს საკმარის ჟღერადობრივ განსხვავებას.

დაპირისპირებული ნიშნები მსგავსია სემანტიკურად. კერძოდ, განცხადებული სასაქონლო ნიშანი „JOYFUL“ ინგლისურიდან ქართულ ენაზე ითარგმნება, როგორც,

„მხიარული“, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლი ნიშანი „JOY“ ითარგმენება, როგორც „მხიარულება“. ორივე ნიშნის სემანტიკა დაკავშირებულია მხიარულებასთან და დადებით ემოციასთან, რაც ასევე ზრდის ნიშნებს შორის მსგავსებას და მომხამრებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას.

მსგავსია დაპირისპირებული ნიშნების საქონლის ჩამონათვალიც. კერძოდ, ორივე სასაქონლო ნიშნის მე-3 კლასის საქონლის ჩამონათვალი მოიცავს პარფიუმერიას, კოსმეტიკას და საპნებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „JOYFUL“ (საიდ. N80993/03, IR1236155) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის N02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ჯინ პატოუ ვორლდვაიდ ლიმიტიდ“ (Jean Patou Worldwide Limited) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. ძალაში დარჩეს „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული

აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 11 დეკემბრის N3677/03 ბრძანება.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ს. მუჯირი

წევრები: თ. ჯაფარიძე

უ. ოშხნელი